

ଭାରତୀୟ

ნენსი სპრინგერი

გაუჩინარებული მარკიზის საქმე

ენოლა ჰოლმსის უჩვეულო თავგადასაცლები

Nancy Springer

THE CASE OF THE MISSING MARQUESS
AN ENOLA HOLMES MYSTERY

ინგლისურიდან თარგმნა ია სისაურმა

პროექტის ხელმძღვანელი: ნინო ზაზარაშვილი

რედაქტორი: ლალი ქადაგიძე

ყდის დიზაინერი: ზიზი ნიშნიანიძე

დამკაბადონებელი: ნინო გურული

© Nancy Springer, 2006

All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2025

ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-919-4

www.diogene.ge

ნენსი სპრინგერი

კ ბ რ ლ ა ჰ მ ლ ა შ ი
უ რ ვ ე უ ლ ო თ ა ვ გ ა დ ა ს ა ვ ლ ე ზ ე

ბ ა უ ჩ ი ნ ა რ ე ბ უ ლ ი
მ ა რ პ ი ზ ი ს ს ა ქ მ ი

„ეს წამიერი შეყოვნება ჩემთვის საბედისნერო აღმოჩნდა“

ზურგს უკან მძიმე ნაბიჯების ხმა შემომესმა.

გაქცევა ვცადე, მაგრამ გვიან იყო. ნაბიჯების ხმა სწრაფად მომიახლოვდა, ვიღაც მკლავში მწვდა და ხელი რკინის მარწუხივით მომიჭირა. ყვირილი დავაპირე, მაგრამ ფოლადის ხელმა პირი დამიხშო. ყურთან ახლოს ბოხმა ხმამ დაიბუბუნა:

– თუ გაინძრევი ან იყვირებ, მოგკლავ!

შიშისაგან გავშეშდი. ფართოდ გახელილ თვალებს სიბნელეში ამაოდ ვაცეცებდი და ვერ ვინძრეოდი. სუნთქვა მეკვროდა. უცნობმა მკლავზე ხელი გამიშვა, მაგრამ იმწამსვე სხეულზე გველივით შემომაჭდო და ორივე ხელი შემიბოჭა, ზურგით კი ქვის კედელივით მყარ ზედაპირს მიმაჭყლიტა, რომელიც სინამდვილეში მისი მკერ-

დი აღმოჩნდა. პირიდან ხელი მომაცილა, მაგრამ, წამიერად, სანამ აკანკალებული ტუჩებით რამის თქმას შევძლებდი, ღამის მკრთალ შუქზე მოელვარე ფოლადს მოვკარი თვალი – გრძელი, ყინულის ნატეხივით წაწვეტებული დანის პირს.

ეძღვნება დედას – ნ. ს.

ისტ-ენდი ლოდონი ლამა 1888 წლის აგვისტო

ქუჩას მხოლოდ ჩამტვრევას გადარჩენილი თო-
თო-ოროლა გაზის ლამპიონისა და პაბებთან ქვა-
ფენილზე ქვაბების ქვეშ დანთებული ცეცხლის
სუსტი შუქი ანათებს; ამ ქვაბებში მოხუცი გამყიდ-
ველები ზღვის ლოკოკინებს ხარშავდნენ. თავიდან
ფეხებამდე შავებში ჩაცმული უცნობი ისე უჩუმ-
რად გადაადგილდება ერთი ჩრდილიდან მეორე-
ში, თითქოს თვითონაც ჩრდილი ყოფილიყოს. იქ,
სადაც ის გაიზარდა, წარმოუდგენელი იყო, ქალს
ლამით სახლიდან გასვლა მეუღლის, მამის ან ძმის
თანხლების გარეშე გაებედა, მაგრამ მას გადაწ-
ყვეტილი აქვს, ყველაფერი იღონოს იმის საპოვნე-
ლად, ვინც დაკარგა.

სიარულისას შავი პირბადიდან ქუჩას გაფაცი-
ცებით ათვალიერებს, მზერა ერთი საგნიდან მეო-
რეზე გადააქვს და დაძაბული აკვირდება. ხედავს
დაბზარულ ტროტუარზე მიმოფანტულ მინის ნამ-
სხვრევებს, თამამად მოსუნსულე ვირთხებს, რომ-
ლებსაც ამაზრზენი ტიტველი კუდები დასთრევთ,
ასევე – ვირთხებსა და მინის ნამსხვრევებს შორის
მორბენალ ფეხშიშველ და ჩამოკონკილ ბავშვებს.
ხედავს წყვილებს – ფლანელის წითელ ჟილეტებ-
ში გამოწყობილ კაცებსა და ქალებს, იაფფასიანი
ჩალის ქუდები რომ ახურავთ, რომლებიც, ხელ-
გაყრილები, რწევით მისეირნობენ. კედელთან ვი-
ღაც გდია და გარშემო ვირთხები ურბენენ. ალ-
ბათ, მთვრალია ან სძინავს, ან სულაც მკვდარია.

ყველაფერს აკვირდება და თან სმენადაა გადაქ-
ცეული. სადღაც ჭვარტლიან ჰაერში მუსიკის ჰანგე-
ბი იფრქვევა და მთვრალი მელოდია შავპირბადიანი
მაძიებლის სმენამდეც აღწევს. ესმის, როგორ იძახის
ჰაბის კართან მდგარი ჰატარა გოგონა: – მამიკო?
მა? ესმის კივილი, ხარხარი, მთვრალი ადამიანების
ყვირილი, ქუჩის მოვაჭრეების ხმამაღალი ძახილი: –
აბა, ხამანნკები! მოასხით ძმარი და მთლიანად გა-

დაყლაპეთ! კარგი მსუქანი ხამანწკები, ოთხი ცალი ერთ პენსად!

მაძიებლის მახვილ ყნოსვას არც ძმრის, ჯინის, მოხარშული კომბოსტოსა და ცხელი სოსისების სუნი ეპარება, რომელსაც ნავსადგურიდან მონაბერი მლაშე ჰაერი და მდინარე ტემზის სიმყრალე შერევია. საიდანლაც გახრწნილი თევზისა და ჩამდინარე წყლების სუნიც აღწევს.

ნაბიჯს უჩქარებს. გაჩერება არ შეიძლება, რადგან იგი მაძიებელიცაა და ძებნილიც! დიახ, შავპირბადიანი მდევარი იმავდროულად დევნილიცაა, ამიტომ რაც შეიძლება შორს უნდა წავიდეს, რათა კაცებმა, რომლებიც კვალში უდგანან, ვეღარ მიაგნონ.

მომდევნო ლამპიონთან კარის ზღურბლზე მდგარ, ტუჩებშეღებილ და ზედმეტად თვალებამოშავებულ ქალს ხედავს, რომელიც ვიღაცას ელოდება. მასთან ორთვალა ეტლი ჩერდება, საიდანაც გრძელ ფრაკსა და აბრეშუმის მოელვარე ცილინდრში გამოწყობილი მამაკაცი გადმოდის. მიუხედავად იმისა, რომ კარში მდგომ ქალს ღრმად ამოჭრილი სალამოს კაბა აცვია, რომელიც, ალბათ, ერთ

დროს იმ სოციალური ფენის ქალბატონს ეკუთვნოდა, რომელსაც ეს მამაკაცი, შავოსანი მაძიებელი ხვდება, რომ ეს ჯენტლმენი აქ საცეკვაოდ არ უნდა იყოს მოსული. იგი ხედავს, რომ მეძავს დაღლილ თვალებში შიში ჩასდგომია, მიუხედავად იმისა, რომ წითლად შეღებილ ტუჩებზე ლიმილი დასთამაშებს. სულ ახლახან რამდენიმე ქუჩის იქით ზუსტად მისნაირი ქალი იპოვეს გაფატრული.

კედელს ზანტად მიყრდნობილმა გაუპარსავმა მამაკაცმა შავოსან მაძიებელს თვალი ჩაუკრა.

— ქალბატონო, აქ მარტო რას აკეთებთ? მეგობარი ხომ არ გჭირდებათ?

ეს მამაკაცი ნამდვილი ჯენტლმენი რომ ყოფილიყო, საკუთარი თავის წარდგენის გარეშე საუბრის წამოწყება აზრადაც არ მოუვიდოდა. შავოსანმა მაძიებელმა ყურადღება არ მიაქცია და სწრაფად ჩაუარა. იცის, რომ უცნობებს არ უნდა გამოელაპარაკოს, რადგან აქ მისი ადგილი არ არის და მას ეს ფაქტი სულაც არ აწუხებს, რადგან ამ სამყაროში თავის ადგილს ვერც აქამდე მიაგნო. ის ხომ, გარკვეულწილად, ყოველთვის მარტო იყო. თუმცა ახლა, როცა ჩრდილებს აკვირდება,

გული მაინც დარდით ევსება, რადგან ღამის გა-
სათევი არ აქვს და თან სრულებით უცხოა მსოფ-
ლიოს უდიდეს ქალაქში. ისიც კი არ იცის, სად
დაიძინებს ამაღამ.

თუ უფალი ინებებს და დილამდე ცოცხალი
მიაღწევს, მხოლოდ იმის იმედი შეიძლება ჰქონ-
დეს, რომ იპოვის თავისთვის ძვირფას ადამიანს,
რომელსაც ასე დაეძებს.

იგი სულ უფრო ღრმად მიიჩევს ისტ-ლონდო-
ნის დოკის ჩაბნელებულ უბნებსა და ჯურლმუ-
ლებში. სრულიად მარტო!

თავი პირველი

ძალიან მინდა, ვიცოდე, რატომ დამარქვა დე-
დამ „ენოლა“ („Enola“), რომელიც, თუ უკულმა
ნაიკითხავ („Alone“), „მარტოს“ ნიშნავს. მას ძალ-
ზე იტაცებდა და, ალბათ, ახლაც იტაცებს სიტ-
ყვების დაშიფვრა. ვფიქრობ, ჩემ შემთხვევაშიც
რაღაც ჰქონდა ჩაფიქრებული. არ ვიცი, ავი წი-
ნათგრძნობა იყო ეს თუ ბედის ორაზროვანი საჩუ-
ქარი, ან იქნებ – გარკვეული გეგმებიც კი, მაგრამ
მაშინ მამა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

ასე იყო თუ ისე, ვიზრდებოდი და დღე არ გა-
ვიდოდა, ჩემთვის არ ეთქვა: „ენოლა, ვიცი, რომ
თავს მარტოც ძალიან კარგად მიხედავ“. ასე დაბ-
ნეულად მემშვიდობებოდა ხოლმე, როცა სახლი-
დან გადიოდა და თან ჩანახატების წიგნაკი, ფუნ-
ჯები და აკვარელები მიჰქონდა, რათა ბუნებაში
ეხეტიალა. საბოლოოდ კი, მართლაც მარტო დამ-

ტოვა, როდესაც ჩემს მეთოთხმეტე დაბადების დღეზე, ივლისის ერთ საღამოს, სახლში, ფერნდელ-ჰოლში, აღარ დაპრუნებულა.

იმის გამო, რომ ჩემი დაბადების დღე ჩვენს უფროს მსახურ ლეინთან და მის მზარეულ ცოლთან ერთად მაინც აღვნიშნე, დედას არყოფნას მაშინვე არ შევუშფოთებივარ. მიუხედავად ჩვენი გულთბილი ურთიერთობისა, ერთმანეთის საქმეში მაინც იშვიათად ვერეოდით და ამჯერადაც ვივარაუდე, რომ რაღაც გადაუდებელი საქმის გამო ვერ მოვიდა. განსაკუთრებით, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მისიზ ლეინს დაავალა, ნაშუადლევს ჩემთვის რამდენიმე ამანათი გადმოეცა.

დედას ჩემთვის საჩუქრები გაემზადებინა:

სახატავი ნაკრები: ფურცლები, უბრალო ფანქრები, მათი გასათლელი ჯაყვა და საშლელი. ეს ყველაფერი მოხერხებულად იყო ჩალაგებული ხის ბრტყელ ყუთში, რომელიც შეგეძლო მოლბერტად გადაგეკეთებინა.

სქელტანიანი წიგნი „ყვავილთა მნიშვნელობა, ასევე შენიშვნები მარაოების, ცხვირსახო-

ცების, ლუქისა და საფოსტო მარკების ფარული
მნიშვნელობის შესახებ“.

და შიფრების წიგნაკი.

მიუხედავად იმისა, რომ ხატვის დიდი ნიჭით
არ გამოვირჩეოდი, დედა სულ ცდილობდა, ჩე-
მი ეს მცირე ნიჭიც განევითარებინა. მან იცოდა,
რომ ჩანახატების გაკეთება ისევე მიყვარდა, რო-
გორც თითქმის ყველანაირი ჟანრის წიგნის კით-
ხვა, თუმცა ისიც იცოდა, რომ შიფრების მიმართ
დიდ ინტერესს არასოდეს ვიჩენდი. და მაინც, ეს
წიგნაკი თავისი ხელით ამინყო. გარკვევით ჩანდა,
როგორ გულდასმით იყო დაკეცილი და ერთმა-
ნეთზე მიკერძული წიგნაკის ფურცლები, რომ-
ლებზეც აკვარელის საღებავებით ნაზი ყვავილები
დაეხატა.

აშკარა იყო, რომ ამ საჩუქარზე დიდხანს მუ-
შაობდა. ესე იგი, არც ისე ცოტა უფიქრია ჩემზე
– რამდენჯერმე მტკიცედ გავუმეორე საკუთარ
თავს იმ საღამოს.

მართალია, წარმოდგენა არ მქონდა, სად შეიძ-
ლებოდა ყოფილიყო დედა, ველოდი, რომ ან სახ-

ლში დაბრუნდებოდა, ან ლამით მაინც გამოგზავნიდა შეტყობინებას, ამიტომ იმ ლამეს საკმაოდ მშვიდად მეძინა.

მაგრამ მეორე დღეს ლეინმა თავი გააქნია.

– არა, ქალბატონი არ დაბრუნებულა და არც შეტყობინება გამოუგზავნია.

გარეთ ყველაფერი ნაცრისფერი იყო, წვიმდა და ეს ზუსტად ასახავდა ჩემს განწყობას, რადგან თანდათან შფოთვა მემატებოდა.

საუზმის შემდეგ ჩემს საძინებელში ავირბინე – სასიამოვნო თავშესაფარში, სადაც გარდერობი, ხელსაბანი მაგიდა, კომოდი და დანარჩენი ავეჯი თეთრად იყო შეღებილი, მათ კუთხეებს კი ტრაფარეტით დახატული ვარდისფერ-ცისფერი თაიგულები ამშვენებდა. ასეთ ავეჯს ხალხი „სოფლურს“ ეძახდა. მას იაფფასიანი შესახედაობა ჰქონდა და მხოლოდ ბავშვს თუ შეეფერებოდა, მაგრამ მე მომწონდა. უმეტეს დღეებში მაინც.

მაგრამ არა დღეს.

სახლში ვეღარ გავჩერდებოდი და ვეღარც უმოქმედოდ ვიჯდებოდი, ამიტომ საჩქაროდ რეზინის ჩექმები ამოვიცვი, ჩემი უფროსი ძმების ნა-

ქონი მოსახერხებელი პერანგი და ბრიჯი ჩავიცვი
და ზევიდან საწვიმარი გადავიცვი. ასე, მთლიანად
რეზინის ტანსაცმელში გამოწყობილმა, კიბე ბრა-
გუნით ჩავირბინე და შემოსასვლელში სადგამიდან
ქოლგა ავიღე. შემდეგ სამზარეულო გავიარე და
მისიზ ლეინს ვუთხარი:

– გავალ, მოვათვალიერებ აქაურობას.

უცნაურია, ზუსტად ამ სიტყვებს ვამბობდი ყო-
ველთვის, როდესაც ძებნის სურვილით შეპყრობი-
ლი გარეთ გავდიოდი, თუმცა, როგორც წესი, არ
ვიცოდი, რის პოვნა მინდოდა. ეს, შეიძლებოდა, ნე-
ბისმიერი რამ ყოფილიყო. ხეებზე ავდიოდი, მხო-
ლოდ იმიტომ, რომ მენახა, რა იყო მაღლა: ლოკო-
კინას მოყვითალო-მოყავისფრო ზოლებიანი ნიუა-
რები, თხილის გროვა, ჩიტის ბუდეები. თუ კაჭკა-
ჭის ბუდეს გადავაწყდებოდი, ვამოწმებდი, ხომ არ
იყო მასში ფეხსაცმლის ლილები, მპზინავი ბაფთის
ნაკუნები ან დაკარგული საყურე. წარმოვიდგენდი,
რომ რაღაც ძალიან ძვირფასი ნივთი დაიკარგა და
მე უნდა მეპოვა...

მაგრამ ამჯერად არაფრის წარმოდგენა არ
მჭირდებოდა.

მისიზ ლეინმაც იცოდა, რომ ახლა ყველაფერი სხვაგვარად იყო. „მის ენოლა, სად არის თქვენი ქუდი?“ – გამომძახებდა ხოლმე, რადგან ქუდს არასოდეს ვიხურავდი, მაგრამ დღეს დამინახა, რომ უქუდოდ გავდიოდი გარეთ და არაფერი უთქვამს.

მე ხომ დედას მოსაძებნად მივდიოდი.

გულწრფელად მჯეროდა, რომ მის პოვნას შევძლებდი.

როგორც კი სამზარეულო თვალს მიეფარა, მაშინვე მეძებარივით წინ და უკან სირბილი დავინყე, რომ დედის რაიმე კვალს მაინც წავწყდომოდი. რადგან წინა დღეს დაბადების დღე მქონდა, ნება დამრთეს, დილით ლოგინში მენებივრა, ამიტომაც არ დამინახავს, დედა შინიდან როდის გავიდა. მაგრამ ვიცოდი, რომ ჩვეულებისამებრ რამდენიმე საათს ყვავილებისა და მცენარეების ჩანახატების შექმნას უთმობდა, ამიტომ გადავწყვიტე, პირველ რიგში ფერნდელის მამულის ტერიტორიაზე მომეძებნა.

დედას, რომელიც მამულს თვითონ უვლიდა, მოსწონდა მცენარეების ნებაზე მიშვება. დავე-